

შპს იზი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	10
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. მარაგები	10
7. გადახდილი ავანსები	11
8. გრძელვადიანი სესხები	11
9. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლისთვის მიღებული	12
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
11. ხელფასები და სხვა სარგებელი	13
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
ფული და ფულის ექვივალენტები	4	219,487	678,609	501,739
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	6,407,046	10,802,301	4,988,869
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,396,822	2,418,587	944,441
გადახდილი ავანსები	7	1,679,166	2,905,354	1,798,505
გაცემული სესხები		-	-	-
საგადასახადო აქტივი		296,279	72,693	388,395
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,998,800	16,877,544	8,621,949
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		74	101	128
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		74	101	128
სულ აქტივები		9,998,874	16,877,645	8,622,077
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		1,158	493,050	17,668
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		-	-	-
მიღებული ავანსები		316,392	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		20	23	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,384,866	493,073	17,668
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	8	950,000	8,421,647	1,426,008
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		950,000	8,421,647	1,426,008
სულ ვალდებულებები		1,267,570	8,914,720	1,443,676
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		8,731,304	7,962,925	7,178,400
სულ საკუთარი კაპიტალი		8,731,304	7,962,925	7,178,400
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,998,874	16,877,645	8,622,076

დირექტორი



ირაკლი გერაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23	31-12-22
ფული და ფულის ექვივალენტები	4	219,487	678,609	501,739
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	6,407,046	10,802,301	4,988,869
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,396,822	2,418,587	944,441
გადახდილი ავანსები	7	1,679,166	2,905,354	1,798,505
გაცემული სესხები		-	-	-
საგადასახადო აქტივი		296,279	72,693	388,395
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,998,800	16,877,544	8,621,949
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		74	101	128
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		74	101	128
სულ აქტივები		9,998,874	16,877,645	8,622,077
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		1,158	493,050	17,668
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		-	-	-
მიღებული ავანსები		316,392	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		20	23	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,384,866	493,073	17,668
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	8	950,000	8,421,647	1,426,008
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		950,000	8,421,647	1,426,008
სულ ვალდებულებები		1,267,570	8,914,720	1,443,676
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		8,731,304	7,962,925	7,178,401
სულ საკუთარი კაპიტალი		8,731,304	7,962,925	7,178,401
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,998,874	16,877,645	8,622,077

დირექტორი

ირაკლი გერაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	9	74,672,358	65,241,934
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	9	(71,062,800)	(62,440,572)
საერთო მოგება		3,609,558	2,801,362
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(855,448)	(812,710)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(435,064)	(310,615)
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი		(27)	(27)
სხვა შემოსავლები		6,158	5,774
სხვა ხარჯები		(200)	-
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		2,324,977	1,683,784
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(758,996)	(543,617)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(54,569)	4,983
მოგება დაბეგვრამდე		1,511,412	1,145,150
მოგების გადასახადი		(111,455)	(54,094)
წმინდა მოგება		1,399,957	1,091,056

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	-	7,178,401	7,178,401
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
დივიდენდის გაცემა		(306,532)	(306,532)
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	1,091,056	1,091,056
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	7,962,925	7,962,925
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
დივიდენდის გაცემა		(631,578)	(631,578)
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	1,399,957	1,399,957
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	8,731,304	8,731,304

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს იზი დაფუძნდა 2012 წელს. კომპანიის მისამართია: ქალაქი ქუთაისი, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩა, N 96გ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 412686026.

კომპანიის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს იაგორი გერაძე (პ/ნ 60001010492).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ხორცისა და თევზის პროდუქტებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი: ირაკლი გერაძე (პ/ნ 60002010089).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ

ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

3.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	219,467	678,606
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	20	3
სულ	219,487	678,609

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება მოთხოვნებისგან ინდივიდუალური მეწარმეების და კომპანიების მიმართ.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-24	31-12-23
ინდ. მეწარმეები	420,217	578,881
კომპანიები	976,605	1,839,706
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,396,822	2,418,587

6. მარაგები

მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდი საქონელისგან და მზა პროდუქციისგან.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-24	31-12-23
საქონელი	4,416,204	5,580,408
მზა პროდუქცია	1,990,842	5,221,893
სულ	6,407,046	10,802,301

7. გადახდილი ავანსები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

გადახდილი ავანსები	31-12-24	31-12-23
არარეზიდენტი პირები	1,179,228	934,774
რეზიდენტი პირები	499,938	1,970,580
სულ გადახდილი ავანსები	1,679,166	2,905,354

8. გრძელვადიანი სესხები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით გრძელვადიანი სესხების ბალანსები შემდეგნაირად გამოიყურება:

გრძელვადიანი სესხები	31-12-24	31-12-23
ბანკებისგან ნასესხები თანხა	950,000	8,421,647
სულ გრძელვადიანი სესხები	950,000	8,421,647

კომპანიას სესხები აღებული აქვს ლარში და მათი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთია 13%.

9. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ხორცისა და თევზის პროდუქტებით, რომლის რეალიზაციაც ძირითადად ხდება საქართველოში მოღვაწე კომპანიებთან.

2024 და 2023 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2024	2023
შემოსავალი	74,672,358	65,241,934
ხორცი	42,988,096	39,818,897
თევზი	31,167,881	25,028,388
რძის პროდუქტები	339,257	344,635
სხვა	177,124	50,014

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(71,062,800)	(62,440,572)
ხორცი	(40,949,811)	(38,363,230)
თევზი	(29,669,571)	(23,731,935)
რძის პროდუქტები	(282,495)	(300,122)
სხვა	(160,923)	(45,285)

საერთო მოგება	3,609,558	2,801,362
---------------	-----------	-----------

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
იჯარის ხარჯი	736,597	685,839
სატრანსპორტო ხარჯი	37,975	49,585
ბუღალტრული ხარჯი	18,203	18,203
სხვა	62,673	59,083
სულ	855,448	812,710

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	157,194	120,000
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	277,870	190,615
სულ	435,064	310,615

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 157,194 ლარი, ხოლო 2023 წელს 120,000 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღდილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.